5 83
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 4

1982

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (458) აპრილი 1982 წელი


## შინაარსი


### განყოფილება პირველი

96. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მიკრორაიონთა საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

97. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

98. დებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ--ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ

### განყოფილება მეორე

99. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

100. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

101. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

102. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. დ. პარკაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

103. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



104. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

105. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

106. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ლ. მდივნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

107. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. პ. ქიქოძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

108. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. თ. ჩერედილოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

109. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. პ. ჯინჯიხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

110. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. ბრეგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. პ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. კოჩინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ბ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ი. პესოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

117. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. თორაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

118. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ლ. კეცხოველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

119. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. თ. ურუშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

120. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ი. შალამბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



17293

## განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 96 მიკრორაიონთა საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავისა და გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა მიმდინარე წლის 15 მაისიდან 20 მაისამდე ჩაატარონ მიკრორაიონთა საბჭოების არჩევნები.

უზრუნველყონ არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიკრორაიონთა საბჭოების არჩევნების დროს მშრომელთა მიერ დაყენებული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა-განხილვას, მიიღონ საჭირო ზომები მათ განსახორციელებლად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1982 წლის 20 აპრილი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 97 საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად, აგრეთვე „ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ (თან ერთვის).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1982 წლის 29 აპრილი.

...ბრძანების საბ. სა... ...სტიტუტის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

სოციალისტურ საზოგადოებაში დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესები დემოკრატიის განხორციელების, მოსახლეობის ნებისა და ინტერესების გამოხატვის, სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობის, ხალხის მასებთან საბჭოებისა და დეპუტატების კავშირის განმტკიცების ერთ-ერთი ფორმაა.

ამომრჩეველთა განაწესები ხელს უწყობენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის საარჩევნო პლატფორმის განხორციელებას, რომელიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას ასახავს. ისინი გამოხატავენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით შესრულების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობის სრულყოფის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, კომუნისტური აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის საბჭოთა ადამიანების ზრუნვას.

### I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.** ამომრჩეველთა განაწესები წარმოადგენენ წინასაარჩევნო კრებების მიერ მოწონებულ და ამომრჩეველთა მიერ თავიანთი დეპუტატებისათვის მიცემულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე დავალებებს, რომელთა მიზანია გაუმჯობესდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის, მათს ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის, ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

**მუხლი 2.** საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობა ხორციელდება სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, „ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტების, ამ დებულებისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტების საფუძველზე.

აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობა ხორციელდება აგრეთვე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის, აჭარის ასსრ კონსტიტუციისა და აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონმდებლობის სხვა აქტების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. ამომრჩეველთა განაწესების შესახებ წინადადებათა შეტანა და მიღება

**მუხლი 3.** განაწესებს ამომრჩევლები იძლევიან წინასაარჩევნო კრებებზე: დეპუტატობის კანდიდატის დასასახელებლად მოწვეულ კრებებზე, დასახელებული დეპუტატობის კანდიდატებისათვის მხარდასაჭერ კრებებსა და დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შესახვედრ კრებებზე.

ყოველ ამომრჩეველს, რომელიც მონაწილეობს წინასაარჩევნო კრებაში, უფლება აქვს შეიტანოს წინადადებანი ამომრჩეველთა განაწესების შესახებ.

**მუხლი 4.** წინასაარჩევნო კრება განიხილავს ამომრჩევლის მიერ შეტანილ წინადადებებს განაწესების შესახებ, ხელმძღვანელობს რა მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობით, დასაბუთებულობითა და განხორციელების რეალურობით.

წინასაარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში კრების დამსწრეთ აძლევენ სათანადო განმარტებებს განაწესების შესახებ შეტანილ წინადადებებზე.

**მუხლი 5.** გადაწყვეტილებას განაწესების შესახებ წინადადებების მოწონების ან მათზე უარის თქმის თაობაზე იღებენ ღია კენჭისყრით, წინასაარჩევნო კრების დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით და შეაქვთ კრების ოქმში.

წინასაარჩევნო კრების ოქმის ამონაწერი გადაწყვეტილებით ამომრჩეველთა განაწესების შესახებ წინადადებათა მოწონების თაობაზე გადაეცემა სახალხო დეპუტატთა იმ საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კრება.

საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წინასაარჩევნო კრების ოქმის ამონაწერს გადაწყვეტილებასთან ერთად ზემდგომი საბჭოების დეპუტატებისათვის მიცემული ამომრჩეველთა განაწესების შესახებ წინადადებათა მოწონების თაობაზე, რომელთა რეალიზაცია ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას განეკუთვნება, გადაუგზავნის ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

## III. ამომრჩეველთა განაწესების აღრიცხვა, განზოგადება და წინასწარი შესწავლა

**მუხლი 6.** ამომრჩეველთა იმ განაწესების აღრიცხვა, განზოგადება და წინასწარი შესწავლა, რომელთა რეალიზაცია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობას განეკუთვნება, ხორციელდება მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

**მუხლი 7.** სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამომრჩეველთა განზოგადებულ განაწესებს წინასწარი განხილვისათვის გადა-

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სცემს აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამის განყოფილებებსა და სამმართველოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენენ მას დასაბუთებულ დასკვნას სამუშაოთა შესაძლო მოცულობის, დაფინანსების წყაროებისა და განაწესების შესრულების ვადების მითითებით.

**მუხლი 8.** სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეიმუშავებს წინადადებებს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მიღების შესახებ და მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმას.

წინადადებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში მონაწილეობენ საბჭოს მუდმივი კომისიები, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**მუხლი 9.** ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მიღების შესახებ აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებანი და მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმა შეიტანება სახალხო დეპუტატთა საბჭოს განსახილველად.

იმ განაწესების რეალიზაციას, რომლებიც შეიძლება შესრულდეს გადაუდებლად, სათანადო სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მათ განხილვამდე, ორგანიზაციას უწევს აღმასრულებელი კომიტეტი. ასეთი განაწესების რეალიზაციის შესახებ აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს საბჭოს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მის განსახილველად და დასამტკიცებლად შეტანისას.

## IV. ამომრჩეველთა განაწესების განხილვა და მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმის დამტკიცება

**მუხლი 10.** სახალხო დეპუტატთა საბჭო განიხილავს და შესასრულებლად იღებს ამომრჩეველთა განაწესებს, ამტკიცებს მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმას.

ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას და მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმას იღებს სახალხო დეპუტატთა ის საბჭო, რომლის გამგებლობასაც განეკუთვნება შესაბამისი განაწესების რეალიზაცია.

**მუხლი 11.** ამომრჩეველთა განაწესები, რომელთა რეალიზაცია განეკუთვნება ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გამგებლობას, ეგზავნება ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს.

**მუხლი 12.** სახალხო დეპუტატთა საბჭო, ხელმძღვანელობს რა საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესებით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი განაწესი უნდა იქნეს რეალიზებული საბჭოს უფლებამოსილების ვადის მანძილზე და რომელი განაწესი უნდა განხორციელდეს პერსპექტივაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს უფლება აქვს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამომრჩეველთა ცალკეული განაწესების შესრულების მიზანშეუწონლობის შესახებ.

**მუხლი 13.** ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმას განიხილავს და ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭო, როგორც წესი, ახლად არჩეული საბჭოს პირველ სესიაზე, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო — მეორე სესიაზე მაინც.

**მუხლი 14.** ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმაში აღინიშნება განაწესების შინაარსი; რომელ დეპუტატს მიეცა განაწესები; მათ შესასრულებლად დასახული ღონისძიებანი; სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ განაწესების რეალიზაციას; განაწესების შესრულების ვადები.

ღონისძიებათა გეგმაში შეიტანება აგრეთვე ის განაწესები, რომლებიც სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ადრე მიღებული იყო შესასრულებლად პერსპექტივაში.

**მუხლი 15.** სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილება ამომრჩეველთა განაწესების შესახებ ეცნობებათ ამომრჩევლებს.

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებით დადგენილ ვადებში უგზავნის საბჭოს გადაწყვეტილებას განაწესების შესახებ იმ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მათი რეალიზაცია.

**მუხლი 16.** სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო, რომელიც შესასრულებლად მიიღებს ზემდგომი საბჭოს დეპუტატისათვის მიცემულ ამომრჩეველთა განაწესებს, აცნობებს მათს შესახებ დეპუტატსა და საბჭოს, რომელშიც ის არის არჩეული.

**მუხლი 17.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემულ ამომრჩეველთა განაწესებს, რომელთა რეალიზაცია რესპუბლიკურ ორგანოებს განეკუთვნება, განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით, ხოლო აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დავალებით ამ განაწესების შესრულებას ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები. ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად დასახულ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები აცნობებენ დეპუტატებს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 18.** სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო ზემდგომ საბჭოს დადგენილი ფორმის მიხედვით აწვდის ცნობებს საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემული ამომრჩეველთა განაწესების შესახებ.

### V. ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ამომრჩეველთა განაწესების გათვალისწინება

**მუხლი 19.** ამომრჩეველთა განაწესები გაითვალისწინება მართვის ყველა დონეზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების შემუშავებისას.

ამომრჩეველთა იმ განაწესების შესრულების ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია საჭირო მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყოფასთან, გაითვალისწინება სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ დამტკიცებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებითა და ბიუჯეტებით, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გეგმებით, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გეგმებით.

**მუხლი 20.** საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები ასახავენ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის საკითხებს დასკვნასა და თანამოხსენებაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის გამო.

**მუხლი 21.** საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები უზრუნველყოფენ მათი საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოში გეგმების პროექტებისა და დამტკიცებული გეგმების იმ ნაწილის მაჩვენებლების წარდგენას, რომელიც ეხება ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საბჭოს შეუძლია თავისი წინადადებანი შეიტანოს შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

### VI. ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაცია

**მუხლი 22.** ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას ორგანიზაციას უწევს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო. სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირები საბჭოს მიერ დამტკიცებულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციას.

**მუხლი 23.** სახალხო დეპუტატთა საბჭოები კოორდინაციას უწევენ მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად, მათთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმებით წყვეტენ საკითხებს ამომრჩეველთა განაწესების მიხედვით საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ერთობლივად გამოყენების შესახებ. იღებენ ზომებს ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებისა და განაწესების რეალიზაციისათვის მუშაობაში მოსახლეობის ფართოდ ჩასაბმელად.

**მუხლი 24.** დეპუტატი მონაწილეობს მოსახლეობისა და შრომითი კოლექტივების ორგანიზაციაში ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად.

დეპუტატს უფლება აქვს მიმართოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას განაწესების შესრულების საკითხებზე და მონაწილეობა მიიღოს მის მიერ აღძრული საკითხების განხილვაში.

**მუხლი 25.** სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი თანამდებობის პირები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ დეპუტატს მუშაობაში ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებისათვის.

**მუხლი 26.** სახალხო დეპუტატთა საბჭოები ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაში აბამენ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებს.

## VII. კონტროლი ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი

**მუხლი 27.** კონტროლს ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი ახორციელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, აღმასრულებელი კომიტეტები, მუდმივი კომისიები და საბჭოების დეპუტატები.

**მუხლი 28.** ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ყოველწლიურად მსჯელობენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების და ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების განხილვისას.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციას, შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარუდგენენ ანგარიშს განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო ყოველწლიურად და მოწვევის განმავლობაში ზემდგომ საბჭოს, დადგენილი ფორმით, წარუდგენს ცნობებს განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების და ამ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ შესასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლად მიღებული ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ასეთსავე ვადებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აწვდის ინფორმაციას რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) ორგანოების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**მუხლი 29.** დეპუტატი მონაწილეობს სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მიერ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციისადმი კონტროლში, იღვწის ამომრჩეველთა განაწესების განსახორციელებლად.

დეპუტატს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებანი, რათა სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიაზე მოისმინონ ანგარიში ან ინფორმაცია ნებისმიერი ორგანოს ან თანამდებობის პირისა, რომელიც ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე ან მის კონტროლს ექვემდებარება, მათ მიერ განაწესების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე, დადგენილი წესით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირების წინაშე შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირები, რომელთაც ეკისრებათ ამომრჩეველთა განაწესების შესრულება, დეპუტატის თხოვნით აწვდიან მას საჭირო საცნობარო მასალებსა და სხვა ინფორმაციას ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის შესახებ

## *VIII. საჯაროობა ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობაში*

**მუხლი 30.** მუშაობა ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად აგებულია ფართო საჯაროობის საფუძველზე.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი ორგანოები მოსახლეობას აცნობებენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. განაწესების რეალიზაციის საკითხები აისახება აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების ანგარიშებში მოსახლეობის წინაშე.

**მუხლი 31.** სახალხო დეპუტატთა საბჭოები განაზოგადებენ და ავრცელებენ ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად გაწეული მუშაობის გამოცდილებას.

**მუხლი 32.** დეპუტატი ამომრჩევლებს და კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს, ანგარიშის ჩაბარებისას აცნობებს განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**მუხლი 33.** სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, დეპუტატების მუშაობას ამომრჩეველთა განაწესებზე აშუქებენ პრესა, ტელევიზია, რადიო და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა
მუხ. 98



დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 17 მარტის ბრძანებულებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## 98 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ

### 1. რაიონების, ქალაქის რაიონების, სასოფლო საბჭოების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა

1. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონებს ქმნის და აუქმებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით, რაც შემდგომ მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში რაიონებს, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ) ქალაქის რაიონებს ქმნის და აუქმებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებითა და შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საოლქო და საქალაქო (რესპუბლიკური, საქართველოს სსრ დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით.

3. აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში რაიონებს, ქალაქის რაიონებს ქმნიან და აუქმებენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინებით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

4. სასოფლო საბჭოებს ქმნის და აუქმებს, რაიონების, სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციულ ცენტრებს ადგენს და გადააქვს, აგრეთვე მათ საზღვრებს და ქალაქის რაიონების საზღვრებს (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარდა) ადგენს და ცვლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით და შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რაიონული დაყოფის ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით.

5. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამ დებულების მე-4 მუხლში მითითებული ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეაქვთ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინებით და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

## II. დასახლებული პუნქტების კლასიფიკაცია და მათი მიკუთვნება ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიისადმი

6. საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა დასახლებული პუნქტი იყოფა ქალაქისა და სოფლის დასახლებულ პუნქტად. ქალაქის დასახლებულ პუნქტებს მიეკუთვნება რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქები და ქალაქის ტიპის დაბები; სოფლისას — სოფლები, მათი ადმინისტრაციული დაქვემდებარების მიუხედავად.

7. დასახლებულ პუნქტებს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) საოლქო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას და ქალაქის ტიპის დაბათა კატეგორიას მიაკუთვნებს, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების საზღვრებს ადგენს და ცვლის, აგრეთვე სოფლის დასახლებულ პუნქტებს ქმნის და აუქმებს და მათ დაქვემდებარებას ცვლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით და შესაბამისი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით.

დასახლებული პუნქტების რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიისადმი მიკუთვნების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

8. აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში დასახლებულ პუნქტებს რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას და ქალაქის ტიპის დაბათა კატეგორიას მიაკუთვნებენ, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების საზღვრებს ადგენენ და ცვლიან, აგრეთვე სოფლის დასახლებულ პუნქტებს ქმნიან, აუქმებენ და მათ დაქვემდებარებას ცვლიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები ამ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინებით და სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური, ასსრ დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

9. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დასახლებულ პუნქტებს ქალაქის ტიპის დაბათა კატეგორიას მიაკუთვნებს, აგრეთვე სოფლის დასახლებულ პუნქტებს ქმნის და აუქმებს და მათს დაქვემდებარებას ცვლის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქები, რომლებიც ყველაზე მსხვილ ეკონომიკურ, კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენენ და რომელთა მოსახლეობის რიცხვი 40 ათას მცხოვრებს აღემატება, თუ ამ ქალაქების შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მიზანშეწონილია, რომ მათ უშუალო ხელმძღვანელობას უწევდნენ რესპუბლიკური ორგანოები.

11. რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქები, რომლებიც ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენენ და აქვთ განვითარებული მრეწველობა, კომუნალური მეურნეობა, მნიშვნელოვანი სახელმწიფო საბინაო ფონდი, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 30 ათას კაცს აღემატება, თუ ამ ქალაქების შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მიზანშეწონილია, რომ მათ უშუალო ხელმძღვანელობას უწევდნენ რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანოები.

ცალკეულ შემთხვევებში რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქები, რომელთა მოსახლეობა 30 ათას კაცზე ნაკლებია, მაგრამ რომლებიც ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენენ და შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის რიცხვის ზრდის უახლოესი პერსპექტივა აქვთ.

12. რაიონული დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქის ტიპის დაბები და სოფლის დასახლებული პუნქტები, რომელთაც აქვთ სამრეწველო საწარმოები, კომუნალური მეურნეობა, სახელმწიფო საბინაო ფონდი, სამკურნალო, სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების განვითარებული ქსელი, მათი მოსახლეობის რიცხვი სულ ცოტა 5 ათასი მცხოვრებია, რომელთა ორ მესამედზე მეტს შეადგენენ მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები.

ცალკეულ შემთხვევებში რაიონული დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლებული პუნქტები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 5 ათას კაცზე ნაკლებიცაა, თუ ისინი წარმოადგენენ რაიონების ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს და აქვთ შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის რიცხვის ზრდის უახლოესი პერსპექტივა.

13. ქალაქის ტიპის დაბათა კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს სამრეწველო საწარმოებთან, მშენებლობებთან, სარკინიგზო კვანძებთან, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებთან განლაგებული დასახლებული პუნქტები, აგრეთვე დასახლებული პუნქტები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია სანატორიუმები და სხვა სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, თუ ამ დასახლებულ პუნქტებს აქვთ სახელმწიფო საბინაო ფონდი და მიაღწიეს კეთილმოწყობის გარკვეულ დონეს, მათი მოსახლეობის რიცხვი სულ ცოტა 2 ათასი კაცია, რომელთა ორ მესამედზე მეტს შეადგენენ მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ შემთხვევებში ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლებული პუნქტები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 2 ათას კაცზე ნაკლებიცაა, თუ მათ აქვთ შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის რიცხვის ზრდის უახლოესი პერსპექტივა.

### III. სახელის დარქმევა და გადარქმევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, დასახლებული პუნქტების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის, აგრეთვე მათთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელის მიკუთვნება

14. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებს, ქალაქებს რაიონებში და ქალაქის რაიონებს, ქალაქის ტიპის დაბებს, სასოფლო საბჭოებს, სოფლებს სახელს დაარქმევს, გადაარქმევს და მათ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელს მიაკუთვნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით.

15. აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში რაიონებსა და ქალაქებს, ქალაქის რაიონებს, სასოფლო საბჭოებს სახელს დაარქმევენ და გადაარქმევენ, ქალაქის ტიპის დაბებს, სოფლებს სახელს გადაარქმევენ და მათ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელს მიაკუთვნებენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო ქალაქის ტიპის ახალ დაბებსა და სოფლებს სახელს დაარქმევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები.

16. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებსა და დასახლებულ პუნქტებს სახელს დაარქმევენ და გადაარქმევენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების, აგრეთვე გეოგრაფიული, ისტორიული, ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა ადგილობრივი პირობების, მოსახლეობის აზრის, მოქალაქეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების გათვალისწინებით. ამასთან აღნიშნულ საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრა და წარდგინების შეტანა შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და როდესაც არსებობს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ქვემდგომი საბჭოების სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებანი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე წარდგინებას განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის დასკვნის მიღების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. სახელის დარქმევისა და გადარქმევის დროს არ დაიშვება რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების, ქალაქის ტიპის დაბებისათვის რესპუბლიკაში უკვე არსებული სახელწოდების მიკუთვნება, ხოლო სოფლის დასახლებული პუნქტებისათვის — რაიონში არსებულისა.

18. იმ დასახლებულ პუნქტებს, სადაც განლაგებულია ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები ან რკინიგზის სადგურები, სახელს გადაარქმევენ შესაბამისად სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ან სსრ კავშირის გზათა სამინისტროსათვის წინასწარი შეტყობინებით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო რაიონებსა და რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებში — სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ვიდრე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარადგენენ შუამდგომლობებს იმ დასახლებული პუნქტებისათვის სახელის გადარქმევის შესახებ, სადაც განლაგებულია ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები და რკინიგზის სადგურები, ამ დასახლებული პუნქტებისათვის სახელის გადარქმევას შეუთანხმებენ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს.

19. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებულ პროსპექტებს, ქუჩებს, შესახვევებს, მოედნებს, სკვერებს, ხიდებსა და სხვა ნაგებობებს სახელს დაარქმევენ, გადაარქმევენ და მათ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელს მიაკუთვნებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

20. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებს, რკინიგზის სადგურებს, საზღვაო ნავსადგურებს, აეროპორტებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებს სახელს დაარქმევენ და გადაარქმევენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

21. რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს სახელს დაარქმევენ და გადაარქმევენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

22. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონებში კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს სახელს დაარქმევს და გადაარქმევს, აგრეთვე მათ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელს მიაკუთვნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო ავტონომიურ ოლქში — ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამ ორგანიზაციების წევრთა საერთო კრებების შუამდგომლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებს, რკინიგზის სადგურებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელს მიაკუთვნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომელიც საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებისათვის სახელის მიკუთვნების შესახებ წინასწარ ატყობინებს სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს.

24. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელის მიკუთვნება შეიძლება მხოლოდ სიკვდილის შემდგომ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში განსაკუთრებით გამოჩენილ სახელმწიფო, საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა, სამშობლოს დამცველთა შრომის გმირთა, მეცნიერების და კულტურის მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა შუამდგომლობით.

## IV. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების აღრიცხვა და რეგისტრაცია

25. ყველა დასახლებული პუნქტი, რომელთაც გააჩნიათ ტერიტორია და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა, უნდა აღირიცხოს, გატარდეს რეგისტრაციაში და სახელი მიეკუთვნოს.

26. მცირე დასახლებანი, რომელთაც დროებითი მნიშვნელობა აქვთ და არა ჰყავთ მოსახლეობის მუდმივი შემადგენლობა, ან რომლებიც მეურნეობის რომელიმე დარგის სისტემაში სამსახურებრივი მნიშვნელობის ობიექტებია (რკინიგზის სამსახურთა შენობები, მეტყევეთა, გზის ოსტატთა სახლები, საველე ბანაკები, მეტეოსადგურები, საზაფხულო დასასვენებელი სახლები და ა. შ. ), არ წარმოადგენენ ცალკე დასახლებას და მიეკუთვნებიან იმ დასახლებულ პუნქტებს, რომლებთანაც ადმინისტრაციულად ან ტერიტორიულად არიან დაკავშირებული.

27. საქართველოს სსრ ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულსა და დასახლებულ პუნქტს აღრიცხავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონების საზღვრებში არსებულ, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოებისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებს აღრიცხავენ, ახლად წარმოქმნილს რეგისტრაციაში გაატარებენ, გაუქმებულს სააღრიცხვო მონაცემებიდან ამოიღებენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

28. ის დასახლებული პუნქტები, საიდანაც წავიდნენ ან გადასახლდნენ მცხოვრებნი, ამოღებულ უნდა იქნეს სააღრიცხვო მონაცემებიდან. სააღრიცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვო მონაცემებიდან ამოიღებენ აგრეთვე იმ დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც მოქცეულია ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების საზღვრებში ან გაერთიანებულია სხვა დასახლებულ პუნქტებთან.

### V. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განსახილველად წარსადგენი დოკუმენტებისა და მასალების ნუსხა. ცნობების გამოქვეყნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში ცვლილებების შესახებ

29. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე შუამდგომლობებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე დოკუმენტები და საცნობარო მასალები თანდართული ნუსხის შესაბამისად.

30. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი ამ დებულების მე-3, მე-5, მე-8, მე-9, მე-15 და 28-ე მუხლებში მითითებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე ძალაში შედის „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ მათ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ დებულების დანართი

### ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, რაიონების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სოფლის დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარსადგენი დოკუმენტებისა და საცნობარო მასალების ნუსხა

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარდგენისას თან დაერთვის შემდეგი დოკუმენტები და საცნობარო მასალები:

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ახალი რაიონის შექმნისას**

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა, თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობანი ახალი რაიონის შექმნის შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა დასაწვრილერთეულებელი რაიონის დაწვრილერთეულების შესახებ.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია ახალი რაიონის შექმნის საჭიროება და მოცემულია დასაწვრილერთეულებელი და ახლად შესაქმნელი რაიონების დახასიათება. დახასიათებაში უნდა იყოს შემდეგი ცნობები:

ა) ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობის, მოსახლეობის რიცხვის, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო საბჭოების რაოდენობის შესახებ, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებისა და მათი განვითარების პერსპექტივების, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის თაობაზე, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობის შესახებ და ა. შ.

ბ) ახლად შესაქმნელი რაიონის სავარაუდო ბიუჯეტის შესახებ;

გ) დასაწვრილერთეულებელი და ახლად შესაქმნელი რაიონების ცენტრებიდან სასოფლო საბჭოების ცენტრებამდე მანძილის თაობაზე;

დ) იმ დასახლებული პუნქტის შესახებ, სადაც ნავარაუდევია ახალი რაიონის ცენტრის განლაგება, მისი ადგილმდებარეობის, მოსახლეობის რიცხვის თაობაზე, სამრეწველო საწარმოების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა ნუსხა, ცნობები იმის თაობაზე, არის თუ არა რაიონული ორგანიზაციების მოსათავსებელი შენობები, რა მდგომარეობაშია მიმოსვლის გზები და კავშირგაბმულობის საშუალებანი რაიონული ცენტრიდან ქალაქამდე, ქალაქის ტიპის დაბებამდე, სასოფლო საბჭოებამდე, უახლოესი რკინიგზის სადგურის სახელწოდებისა და ამ სადგურამდე მანძილის შესახებ;

ე) წინადადება ახლად შესაქმნელი რაიონის სახელწოდების თაობაზე და ამ სახელწოდების ახსნა-განმარტება;

ვ) ცნობები ახლად შესაქმნელი რაიონის მოსახლეობის მიერ დასაწვრილერთეულებელი რაიონის საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რაოდენობის შესახებ;

ზ) წინადადება ახლად შესაქმნელ რაიონში ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესის თაობაზე.

4. დაწვრილერთეულებელი რაიონის სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია ქალაქები, ქალაქის ტიპის დაბები, სასოფლო საბჭოები და სოფლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა



არსებული და ახლად შექმნილი რაიონებისა და მათი ცენტრების მიმოსვლის გზები, საზღვრები.

### რაიონის გაუქმებისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა, თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობანი რაიონის გაუქმების შესახებ.

2. გასაუქმებელი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მისი გაუქმების თაობაზე.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია რაიონის გაუქმების საჭიროება, და მოცემულია გასაუქმებელი და გასამსხვილებელი რაიონების დახასიათება. ამ დახასიათებაში უნდა იყოს შემდეგი ცნობები:

ა) ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობის, მოსახლეობის რიცხვის, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო საბჭოების, სოფლების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციების რაოდენობისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის თაობაზე, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობის შესახებ და ა. შ.;

ბ) გასამსხვილებელი რაიონის სავარაუდო ბიუჯეტის შესახებ;

გ) გასაუქმებელი და გასამსხვილებელი რაიონების ცენტრებიდან ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო საბჭოების ცენტრებამდე მანძილის თაობაზე;

დ) გასაუქმებელი და გასამსხვილებელი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატთა რიცხვის შესახებ.

4. გასამსხვილებელი რაიონის სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია მისი არსებული და სავარაუდო საზღვრები, აგრეთვე ქალაქები, ქალაქის ტიპის დაბები, სადაბო საბჭოები, სასოფლო საბჭოები და სოფლები, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე მიმოსვლის გზები.

### რაიონის ადმინისტრაციული ცენტრის გადატანისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი რაიონის ადმინისტრაციული ცენტრის გადატანის შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა რაიონის ცენტრის გადატანის შესახებ.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია რაიონის ცენტრის გადატანის საჭიროება და მოცემულია იმ დასახლებული პუნქტის დახასიათება, სადაც ნავარაუდევია რაიონის ცენტრის გადატანა. ამ დახასია-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თებაში უნდა მიეთითოს: დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობა, მისი მოსახლეობის რიცხვი, არის თუ არა სამრეწველო საწარმოები, სოციალურ-კულტურული დაწესებულებები, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები; მათი განვითარების პერსპექტივები; არის თუ არა აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებების, სამმართველოების, აგრეთვე რაიონული ორგანიზაციების მოსათავსებელი შენობები; არის თუ არა და რა მდგომარეობაშია სავარაუდო რაიცენტრთან მიმოსვლის გზები და კავშირგაბმულობის საშუალებანი; მანძილი რკინიგზის სადგურიდან.

4. რაიონის სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია რაიონის, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების არსებული და ახალი ცენტრი და სასოფლო საბჭოების ცენტრები.

## სასოფლო საბჭოს შექმნისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ახალი სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა ახალი სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

3. დასაწვრილერთეულებელი სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა მისი დაწვრილერთეულების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია ამ საბჭოს სესიაზე.

4. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია ახალი სასოფლო საბჭოს შექმნის საჭიროება და მოცემულია დასაწვრილერთეულებელი და ახლად შესაქმნელი სასოფლო საბჭოს დახასიათება, ამ დახასიათებაში მოცემული უნდა იყოს:

ა) ცნობები ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობის, მოსახლეობის რიცხვის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების რაოდენობისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის შესახებ, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობის თაობაზე და ა. შ.;

ბ) ცნობები შესაქმნელი სასოფლო საბჭოს სავარაუდო ბიუჯეტის შესახებ;

გ) დასახლებული პუნქტების ნუსხა და მანძილი ამ პუნქტებიდან არსებული და ახლად შესაქმნელი სასოფლო საბჭოების ცენტრებამდე;

დ) ცნობები იმის შესახებ, არსებობს თუ არა ახლად შექმნილ სასოფლო საბჭოში სასოფლო საბჭოს აღმასკომის მოსათავსებელი შენობა;

ე) ცნობები დასაწვრილერთეულებელი სასოფლო საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოში არჩეულ დეპუტატთა საერთო რაოდენობისა და ცალკე ახლად შესაქმნელი სასოფლო საბჭოს მოსახლეობის მიერ ამ საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რიცხვის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) წინადადება ახლად შესაქმნელი სასოფლო საბჭოს სახელწოდების თაობაზე და ამ სახელწოდების ახსნა-განმარტება;

ზ) წინადადება ახლად შესაქმნელ სასოფლო საბჭოში ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესის შესახებ.

5. სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია დასაწვრილერთეულებელი და ახლად შესაქმნელი სასოფლო საბჭოების, მათი ცენტრების, დასახლებული პუნქტების საზღვრები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მიმოსვლის გზები.

**სასოფლო საბჭოს გაუქმებისას**

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა სასოფლო საბჭოს გაუქმების თაობაზე.

3. გასაუქმებელი სასოფლო საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ.

4. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია სასოფლო საბჭოს გაუქმების საჭიროება და მოცემულია გასაუქმებელი და გასამსხვილებელი სასოფლო საბჭოს დახასიათება. ამ დახასიათებაში მოცემული უნდა იყოს:

ა) ცნობები ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობის, მოსახლეობის რიცხვის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების რაოდენობისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის შესახებ, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რაოდენობის თაობაზე და ა. შ.;

ბ) ცნობები გასამსხვილებელი სასოფლო საბჭოს სავარაუდო ბიუჯეტის შესახებ;

გ) დასახლებული პუნქტების ნუსხა და მანძილი ამ პუნქტებიდან გასაუქმებელი და გასამსხვილებელი სასოფლო საბჭოების ცენტრებამდე;

დ) ცნობები გასაუქმებელი და გასამსხვილებელი სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატთა რაოდენობის შესახებ.

5. გასამსხვილებელი სასოფლო საბჭოს სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია მისი არსებული და სავარაუდო საზღვრები, აგრეთვე დასახლებული პუნქტები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მიმოსვლის გზები.

**დასახლებული პუნქტის რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიისათვის მიკუთვნებისას**

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა დასახლებული პუნქტის რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა დასახლებული პუნქტის რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიისათვის მიკუთვნების თაობაზე.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია დასახლებული პუნქტის გარდაქმნის საჭიროება და მოცემულია მისი დახასიათება. ამ დახასიათებაში უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ა) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული მდებარეობა, უახლოესი რკინიგზის სადგურის სახელწოდება და მანძილი ამ სადგურამდე;

ბ) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის მოსახლეობის საერთო რიცხვი და ცალკე მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა;

გ) სამრეწველო საწარმოთა ნუსხა, მათი საქვეუწყებობა და თითოეული მათგანის მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, სამრეწველო საწარმოთა განვითარების პერსპექტივები;

დ) ცნობები დასახლებული პუნქტების კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, საბინაო ფონდის რაოდენობისა და მოცულობის შესახებ (აღინიშნოს ვის ეკუთვნის), სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების თაობაზე;

ე) ახლად შესაქმნელი ქალაქის სავარაუდო ბიუჯეტი; ცნობები საბჭოს აღმასკომის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაკთა შტატებისა და ხელფასის წლიური ფონდის, აპარატის შენახვის დამატებითი ხარჯების დაფარვის წყაროების შესახებ; არის თუ არა მმართველობის ახალი აპარატის მოსათავსებელი სამუშაო შენობები;

ვ) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის მიწის ფართობი (აღინიშნოს ძირითადი მიწათმოსარგებლენი);

ზ) წინადადებანი გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის სახელწოდების შესახებ და ამ სახელწოდების დასაბუთება;

თ) სადაბო, საქალაქო საბჭოების დეპუტატთა რიცხვი, წინადადება ახლად შესაქმნელ ქალაქში ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესის თაობაზე;

4. გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის გეგმა მისი საქალაქო საზღვრის მითითებით და ქალაქის საზღვრის აღწერა.

**დასახლებული პუნქტის ქალაქის ტიპის დაბის კატეგორიისათვის მიკუთვნებისას**

1. აფხაზეთის ასსრ ,აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება დასახლებული პუნქტის ქალაქის ტიპის დაბის კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა დასახლებული პუნქტის ქალაქის ტიპის დაბის კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია დასახლებული პუნქტის გარდაქმნის საჭიროება და მოცემულია მისი დახასიათება. ამ დახასიათებაში უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ა) დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული მდებარეობა, უახლოესი რკინიგზის სადგურის სახელწოდება და მანძილი ამ სადგურამდე, მანძილი იმ სასოფლო საბჭოს ცენტრამდე, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს ეს დასახლებული პუნქტი;

ბ) მოსახლეობის საერთო რიცხვი, მათ შორის — ცალკე მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრთა;

გ) სამრეწველო საწარმოთა ნუსხა, მათი საქვეუწყებობა, სიმძლავრე. თითოეული მათგანის მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, სამრეწველო საწარმოთა განვითარების პერსპექტივები, ცნობები დასახლებული პუნქტის კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, საბინაო ფონდის რაოდენობისა და მოცულობის შესახებ, ვის ეკუთვნის ეს ფონდი; ცნობები სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების თაობაზე და ა. შ.;

დ) დასახლებული პუნქტის მიწის ფართობი, აღინიშნოს მიწათმოსარგებლენი (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები ,დამხმარე მეურნეობები), სახმიწფონდი და სახტყეფონდი, დაბის გეგმა, მისი საზღვარი;

ე) დაბის სავარაუდო ბიუჯეტი;

ვ) არსებობს თუ არა სადაბო საბჭოს აღმასკომის მოსათავსებელი შენობა; წინადადებანი ქალაქის ტიპის დაბის სახელწოდების შესახებ;

ზ) გარდასაქმნელი დასახლებული პუნქტის მოსახლეობის მიერ სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რიცხვი, წინადადებანი ახლად შესაქმნელ ქალაქის ტიპის დაბაში ხელისუფლების ორგანოს შექმნის წესის თაობაზე.

### ქალაქის საზღვრების დადგენისას და გაფართოებისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა ქალაქის საზღვრის დადგენისა და გაფართოების შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა ქალაქის საზღვრის დადგენისა და გაფართოების შესახებ.

3. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლის ტერიტორიის ნაწილი მოქცეულია ქალაქის საზღვრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) ქალაქის საზღვრის დადგენისა და გაფართოების საჭიროების დასაბუთება;

ბ) ქალაქის არსებული და სავარაუდო ტერიტორიის ფართობი;

გ) ქალაქის საზღვრებში მოქცეული დასახლებული პუნქტების ნუსხა, თითოეული მათგანის მოსახლეობის რიცხვის მითითებით;

დ) ქალაქის საზღვრებში მოქცეული მიწის ფართობი მიწათმოსარგებლეთა მითითებით (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დამხმარე მეურნეობები) და სახმიწფონდისა და სახტყეფონდის მიწები, ამ მიწების ქალაქის საზღვრებში გამოყენება.

5. ქალაქის გეგმა არსებული და სავარაუდო საზღვრების მითითებით და მის საზღვრებში მოქცეული მიწის ექსპლიკაცია.

6. ქალაქის დასაპროექტებელი საზღვრის აღწერა (საოლქო და რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქებისათვის).

### რაიონების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისას და გადარქმევისას

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობანი.

2. იმ რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, ქალაქის ტიპის დაბის, სოფლის, სასოფლო საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოს შუამდგომლობა, რომელთაც სახელი უნდა გადაერქვას.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, ქალაქის ტიპის დაბის, სასოფლო საბჭოს, სოფლის დასახლებული პუნქტისათვის სახელის გადარქმევის საჭიროება და მათი ახალი სახელწოდების ახსნა-განმარტება.

4. რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო საბჭოებისა და სოფლის დასახლებული პუნქტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელის მიკუთვნებისას თან დაერთვება შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა შუამდგომლობანი.

### რაიონების საზღვრების შეცვლისას

1. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებები და შესაბამისი რაიონების დასკვნები, რომელთა საზღვრების შეცვლა სავარაუდოა.

2. ცნობა, რომელშიც დასაბუთებულია გასათვალისწინებელი ცვლილებების მიზანშეწონილობა, მოცემულია რაიონების ეკონომიკური დახასიათება მათი არსებულ და სავარაუდო საზღვრებში. ამ დახასიათებაში უნდა აღინიშნოს: ტე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტერიტორიის (მათ შორის სახნავი მიწის) ფართობი, მოსახლეობის რიცხვი, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო საბჭოებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების რაოდენობა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რაოდენობა და ა. შ. ცნობაში მოცემულია აგრეთვე ერთი რაიონიდან მეორისათვის გადასაცემი ქალაქის, ქალაქის ტიპის დაბის, სასოფლო საბჭოს ან სოფლის დასახლებული პუნქტის ეკონომიკური დახასიათება და აღნიშნულია მისი მიმოსვლის გზები და კავშირგაბმულობის საშუალებანი, მანძილი რაიცენტრამდე და უახლოეს რკინიგზის სადგურამდე.

3. რაიონების სქემატური რუკა მათს არსებულ და სავარაუდო საზღვრებში, აღინიშნოს ქალაქები, ქალაქის ტიპის დაბები, სასოფლო საბჭოები, სოფლის დასახლებული პუნქტები, მიმოსვლის გზები.

### სასოფლო საბჭოს ცენტრის გადატანისას

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა სასოფლო საბჭოს ცენტრის გადატანის შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს შუამდგომლობა სასოფლო საბჭოს ცენტრის გადატანის შესახებ.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია სასოფლო საბჭოს ცენტრის გადატანის საჭიროება და მოცემულია სასოფლო საბჭოების არსებული და სავარაუდო ცენტრების დახასიათება, მითითებულია მანძილი ამ ცენტრებიდან სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე დასახლებულ პუნქტებამდე.

4. სასოფლო საბჭოს სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია მისი არსებული და სავარაუდო ცენტრები.

### სასოფლო საბჭოების საზღვრების შეცვლისას

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება.

2. სახალხო დეპუტატთა იმ სასოფლო საბჭოების გადაწყვეტილებანი, რომელთა ტერიტორიებს შორის იცვლება საზღვრები.

3. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია გასათვალისწინებელ ცვლილებათა მიზანშეწონილობა და მოცემულია სასოფლო საბჭოების ეკონომიკური დახასიათება არსებულ და ახალ საზღვრებში, აგრეთვე გადასაცემი ტერიტორიების, დასახლებული პუნქტების ეკონომიკური დახასიათება, მანძილი სასოფლო საბჭოს ცენტრამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**ახლად შექმნილი დასახლებული პუნქტების რეგისტრაციისას**

1. სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა, რომელშიც უნდა აღინიშნოს დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობა, მანძილი სასოფლო საბჭოს, რაიონის ცენტრამდე, უახლოეს რკინიგზის სადგურამდე; რა ვითარებაში შეიქმნა, როდის და ვინ გამოყო ადგილი დასახლებული პუნქტისათვის, ვინ დაამტკიცა მისი განაშენიანების გეგმა; განვითარების პერსპექტივები, მოსახლეობის რიცხვი და მისი შემადგენლობა საქმიანობის იმ სახეობის მიხედვით, რომელიც ჭარბობს.

2. წინადადება დასახლებული პუნქტისათვის სახელის დარქმევის შესახებ და მისი დასაბუთება.

3. სასოფლო საბჭოს სქემატური რუკა, რომელზეც აღნიშნულია ახლად შექმნილი დასახლებული პუნქტი.

**დასახლებული პუნქტის გაუქმებისას**

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება.

2. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც დასაბუთებულია დასახლებული პუნქტის გაუქმების, გაუქმებული დასახლებული პუნქტის ტერიტორიის შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ შემადგენლობაში გადაცემის საჭიროება და მოცემულია ცნობები მოსახლეობის, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების შესახებ.

* *
*

ახსნა-განმარტებით ბარათს ხელს აწერენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების გეგმებსა და რაიონების, სასოფლო საბჭოების სქემატურ რუკებს უნდა ჰქონდეს მასშტაბი და პირობითი ნიშნები.

გეგმებსა და რუკებს ხელს აწერს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მათი დამოწმება ხდება ბეჭდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 99 საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"**:

**მუსერიძეს** გიორგი არტემის ძეს — საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კრებსით-ეკონომიკური განყოფილების უფროსს.

**ქართველიშვილს** შოთა ევგრაფის ძეს — საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის შრომითი რესურსების განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 5 აპრილი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 100 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს ტელევიზიის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"**

**გიგაურს** ნოდარ პარმენის ძეს — ხმის რეჟისორს.
**დარჩიას** უშანგი მიხეილის ძეს — რეჟისორს.
**დუღაშვილს** ნუნუ იროდიონის ასულს — ხმის რეჟისორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"**

**ავაქოვს** სტეფანე გრიგოლის ძეს — სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.
**დარახველიძეს** გიული ანდრიას ასულს — ქალთა ვოკალური ტრიოს სოლისტს.
**ლეკვეიშვილს** ნოე ვლადიმერის ძეს — სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.
**ნათაძეს** თენგიზ გიორგის ძეს — დიქტორს.
**სიხარულიძეს** მედეა თენგიზის ასულს — ქალთა ვოკალური ტრიოს სოლისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი"

**ვაჭარაძეს** ციალა მიხეილის ასულს — მთავარი რედაქტორის მოადგილეს.

**დანელიას** ფელიქს დომენტის ძეს — მთავარ რედაქტორს.

**კავკასიძეს** ელგუჯა გიორგის ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფროს ინსტრუქტორს.

**მერკვილიშვილს** გიორგი გრიგოლის ძეს — საკუთარ კორესპონდენტს მოსკოვში.

**სანებლიძეს** არმაზ რომანოზის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი"

**გოცაძეს** თეიმურაზ გიორგის ძეს — მთავარ მხატვარს.

**პლაკსინს** რობერტ არკადის ძეს — დამდგმელ მხატვარს.

**რურუას** ვახტანგ ნიკოლოზის ძეს — დამდგმელ მხატვარს.

### „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

**აბდუშელიშვილს** რუსუდან ნიკოლოზის ასულს — განყოფილების გამგეს.

**ამაშუკელს** ცირა მიხეილის ასულს — რეჟისორის ასისტენტს.

**აფციაურს** ალექსანდრა ალექსანდრეს ასულს — მემონტაჟეს.

**ბუაძეს** ანატოლი ონისიმეს ძეს — ტიტრების მხატვარს.

**გაბაშვილს** რევაზ გიორგის ძეს — ტელეოპერატორს.

**გვრიტიშვილს** ვასილ ივანეს ძეს — დამდგმელ-დეკორატორს.

**თავაძეს** ჟორჟეტა ერემიას ასულს — ტიტრების მხატვარს.

**მიმინოშვილს** იური სილიბისტროს ძეს — რეჟისორს.

**ჟორჟოლიანს** ივანე ალექსანდრეს ძეს — რეჟისორს, პენსიონერს.

**რამიშვილს** მზია ვახტანგის ასულს — განყოფილების გამგეს.

**ტალიკაძეს** გივი გიორგის ძეს — რეჟისორს.

**ურუშაძეს** აკაკი ვლადიმერის ძეს — განყოფილების გამგეს.

**ჩუბინიძეს** ეთერ კონსტანტინეს ასულს — მშრომელთა მისაღების გამგეს.

**ხატიაშვილს** სოლომონ ნიკოლოზის ძეს — ხმის რეჟისორს.

**ხაჩიძეს** ლულუ ერასტის ასულს — რეჟისორს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**თედორაშვილს** ვლადიმერ ივანეს ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კომპლექსის უფროსს.

**კაკაბაძეს** ოთარ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

**კარაპეტიანს** თამაზ გიორგის ძეს — რესპუბლიკური რადიოსატელევიზიო გადამცემი ცენტრის მთავარ ინჟინერს.

**სალიბეგაშვილს** ვახტანგ ვლადიმერის ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი"**

**ბარათაშვილს** დიმიტრი არტემის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საამქროს უფროსს.

**კურტანიძეს** აველიკო გრიგოლის ძეს — რესპუბლიკური რადიოსატელევიზიო გადამცემი ცენტრის უფროს ინჟინერს.

**ჩუგურიანს** გარი სიმონის ძეს — რადიოსატელეფონო კავშირის საამქროს უფროსს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 101 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"**

**ელიოზიშვილს** ლია მიხეილის ასულს — უფროს რედაქტორს.

**თავაძეს** ნორა იოსების ასულს — უფროს კორექტორს.

**კაპანაძეს** შოთა აკაკის ძეს — უფროს რედაქტორს.

**კახრაძეს** ოთარ ვასილის ძეს — რედაქციის გამგეს.

**მამისაშვილს** ნინო ანდროს ასულს — რედაქციის გამგეს.

**ტრიპოლსკის** ეთერ გიორგის ასულს — უფროს რედაქტორს.

**ქანთარიას** მერი ენუქის ასულს — უფროს რედაქტორს.

**ქაჯაიას** ლევან ვარლამის ძეს — ქ. თბილისის № 4 სტამბის დირექტორს.

**ჩიქოვანს** აკაკი ირაკლის ძეს — დირექტორის მოადგილეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემის დარგში.

**ციცქიშვილს** გივი გობრონის ძეს — რედაქციის გამგეს.

**ძოწენიძეს** შოთა ამბაკოს ძეს — დირექტორის მოადგილეს საწარმოო ნაწილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჯავახაძეს** ვახტანგ რომანოზის ძეს — მთავარ რედაქტორს.
**ჯაფარიძეს** ცისანა კონსტანტინეს ასულს — უფროს რედაქტორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

**ლალიძეს** მარინა ასლანის ასულს — საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“**

**ჟორდანიას** ლიდა სიმონის ასულს — ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 102 ამხ. ვ. დ. პარკაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ დავითის ძე **პარკაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 103 საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო და სამეცნიერო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება „**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი**":

**ბაბალოვს** ალექსანდრე თომას ძეს — საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბოდაცვის ლაბორატორიის სექტორის გამგეს.

**ნიჟარაძეს** ალექსანდრე ივანეს ძეს — საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აირ-მტვერდამჭერი ლაბორატორიის მტვერდამჭერი სექტორის გამგეს.

**ტოპოლკაროევს** არამ ტიგრანის ძეს — საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტექნიკური უსაფრთხოების ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

**ძამაშვილს** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს — საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომის დაცვის სწავლებისა და პროპაგანდის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

**ჭილაშვილს** შალვა ექვთიმეს ძეს — საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აირ-მტვერდამჭერი ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 104 საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება „**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი**":

**ანჯაფარიძეს** ამირან ვარლამის ძეს — საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს.

**მურვანიძეს** ზურაბ ბენიამინის ძეს — საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქორგგაზის" სამმართველოს უბნის უფროსს.

**ციციშვილს** ვიქტორ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო კანტორის მთავარ ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 105 ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. გურამ დავითის ძე **მგელაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 2 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 106 ამხ. მ. ლ. მდივნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ამხ. მერი ლუარსაბის ასული **მდივანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 107 ამხ. ლ. პ. ქიქოძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა, სამეურნეო და საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სათბობისა და მატერიალური რესურსების განყოფილების გამგე ამხ. ლეონიდე პეტრეს ძე **ქიქოძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 5 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 108 ამხ. მ. თ. ჩერედილოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის გენერალ-მაიორი მიხეილ თევდორეს ძე **ჩერედილოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 9 აპრილი.

## 109 ამხ. ს. პ. ჯინჯიხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. სიმონ პეტრეს ძე **ჯინჯიხაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 5 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 110 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს ტელევიზიის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ავალიანი** ამირან ბუხუტის ძე — შტატგარეშე კომენტატორი.

**აკობია** იური აბრამის ძე — მთავარი ინჟინერი.

**არჩვაძე** ჟანეტა გრიგოლის ასული — დიქტორი.

**ბაგრატიშვილი** ნოდარ აბდულას ძე — ბათუმის გადამცემი სატელევიზიო სადგურის მეანტენე-მეანძე.

**ბახტაძე** ნიკოლოზ ვარლამის ძე — საამქროს უფროსი.

**გრიგორიანი** რაფაელ გრიგოლის ძე — კინოოპერატორი.

**გურგენიძე** ნანა კონსტანტინეს ასული — რედაქტორი.

**დგებუაძე** ამირან იოსების ძე — მხატვარი.

**ვაშაყმაძე** ჯულიეტა დავითის ასული — კომენტატორი.

**იოსელიანი** დემურ გიორგის ძე — საქართველოს ტელევიზიის პროგრამათა მთავარი დირექტორი.

**კაცია** ზენონ ვლადიმერის ძე — მთავარი რეჟისორი.

**კელენჯერიძე** ანტონ კირილეს ძე — პერსონალური პენსიონერი.

**ლალიძე** ელისაბედ ილიას ასული — განყოფილების გამგე.

**ლეთოდიანი** თინა გრიგოლის ასული — ქუთაისის გადამცემი სატელევიზიო სადგურის ელექტრომექანიკოსი.

**მახარობლიძე** ელგუჯა ივანეს ძე — რეჟისორი.

**მერაბიშვილი** აკაკი ისაკის ძე — რესპუბლიკური რადიოსატელევიზიო გადამცემი ცენტრის ელექტრომონტიორი — მძღოლი.

**მესხიშვილი** ივლიტა ივანეს ასული — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

**მექვაბიშვილი** გრიგოლ ვასილის ძე — განყოფილების გამგე.

**სოკოლოვი** დავით სიმონის ძე — დიქტორი.

**სტრელიგოვი** ბორის ანატოლის ძე — სოხუმის გადამცემი სატელევიზიო სადგურის ელექტრომონტიორი.

**ფილია** შამილ ხუსეინის ძე — აფხაზეთის ასსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

**ჩხეიძე** მალალო კლიმენტის ასული — რედაქტორი.

**ცაბაძე** გიორგი ალექსანდრეს ძე — კადრების განყოფილების გამგე.

**ციციაშვილი** აბონ იაკობის ძე — შტატგარეშე კომენტატორი.

**ცომაია** არნოლდ მიხეილის ძე — რესპუბლიკური რადიოსატელევიზიო გადამცემი ცენტრის მთავარი ენერგეტიკოსი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 111 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დაარსების 60 წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**ანუაშვილი** მარიამ იოსების ასული — საწარმოო განყოფილების გამგე.
**არეშიძე** ლეილა სოლომონის ასული — უფროსი კორექტორი.
**ბარამიძე** ვარლამ ვიქტორის ძე — ეკონომისტი.
**გიგაური** მაყვალა ლევანის ასული — უფროსი რედაქტორი.
**გოგიჩაიშვილი** მერი ნოეს ასული — უმცროსი რედაქტორი.
**გოქაძე** გულნარა შოთას ასული — რედაქციის გამგე.
**კიკვაძე** ნინო შალვას ასული — საწარმოო განყოფილების გამგის მოადგილე.
**მგელაძე** თინა ალექსანდრეს ასული — უფროსი რედაქტორი.
**ნანიტაშვილი** ლეილა კონსტანტინეს ასული — უფროსი რედაქტორი.
**უვანია** ელენე ივანეს ასული — უფროსი კორექტორი.
**როგოვსკაია** ალექსანდრა ოტოს ასული — რედაქტორი.
**ფანჯიკიძე** გურამ ივანეს ძე — დირექტორი.
**ფირცხალავა** დარეჯან ბენიამინის ასული — რედაქტორი.
**შველიძე** ციცინო ნიკოლოზის ასული — რედაქტორი.
**ცინცაძე** ოლღა მიხეილის ასული — რედაქტორი.
**ჭიჭინაძე** ვალერიან გრიგოლის ძე — უფროსი ტექნიკური რედაქტორი.
**ხუნდაძე** იზა დავითის ასული — უფროსი რედაქტორი.
**ჯინჯიხაშვილი** თამარ ისაკის ასული — უფროსი რედაქტორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 112 ამხ. გ. ვ. ბრეგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრიგოლ ვასილის ძე ბრეგაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 113 ამხ. ა. პ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორის მოადგილე ამხ. ანატოლი პავლეს ძე კიკნაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 114 ამხ. ა. ვ. კოჩინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო და სამეცნიერო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით შრომის დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პერსონალური პენსიონერი ამხ. ალექსი ვლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიმერის ძე **კოჩინაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 115 ამხ. ნ. ა. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ვეტერანი ამხ. ნიკოლოზ ბარნაბის ძე **მახარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 14 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 116 ამხ. ე. ი. პესოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტი ამხ. ედუარდ იოსების ძე **პესოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 14 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 117 ამხ. დ. ა. თორაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კომპოზიტორი დავით ალექსანდრეს ძე თორაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 118 ამხ. ნ. ლ. კეცხოველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. ნანა ლევანის ასული კეცხოველი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 119 ამხ. ი. თ. ურუშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იური თეიმურაზის ძე ურუშაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**120** ამხ. ო. ი. შალამბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ოთარ ირაკლის ძე შალამბერიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 აპრილი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა გაიმართა 1982 წლის 29 აპრილს. სხდომამ პირველ საკითხზე — „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ამბროლაურისა და ახალქალაქის რაიონებში", მოისმინა ამბროლაურისა და ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. ი. დარახველიძისა და მ. გოკორიანის ინფორმაციები, აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს ორგანიზებულად, მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში.

ამასთან ზემოაღნიშნულ რაიონებს არჩევნებისათვის მზადების საქმეში ჰქონდათ რიგი ნაკლოვანებანიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ამბროლაურისა და ახალქალაქის რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, უზრუნველყონ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების მომზადება და ჩატარება არჩევნების შესახებ კანონების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 2 თებერვლის დადგენილებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 24 თებერვლის დადგენილების სრული შესაბამისობით; გულდასმით აღრიცხონ დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული განაწესები, აგრეთვე ამომრჩეველთა წინადადებები და მიიღონ სათანადო ზომები მათ სარეალიზაციოდ.

სხდომამ მიიღო ცნობად საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. მ. ინაურის განცხადება იმის თაობაზე, რომ ყველა საუბნო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფილი იქნება კავშირგაბმულობის საშუალებებით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და „ცეკავშირის" გამგეობას დაევალათ მიიღონ ზომები საარჩევნო კამპანიის პერიოდში სავაჭრო ქსელის პირველი მოთხოვნილების საქონლით შეუფერხებლად მომარაგებისა და მოსახლეობის საჭიროებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა აგრეთვე წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. შალამბერიძის ინფორმაცია კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და გაეცნო შემოწმების მასალებს. აღინიშნა, რომ ბოლო ხანს მოზარდთა უმეთვალყურეობისა და სამართალდარღვევების აღსაკვეთად ჩატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად კომისია სრულად ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, სუსტად მუშაობს მოზარდთა შორის ანტისაზოგადოებრივ გამოვლენათა თავიდან ასაცილებლად, რის შედეგადაც ქალაქ წყალტუბოს ზონაში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის დონე კვლავ მაღალია.

არ არის შექმნილი ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღონისძიებათა გაერთიანებას მოზარდთა კომუნისტური აღზრდისა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის თავიდან აცილების ამოცანათა კომპლექსური გადაწყვეტისათვის.

სამართალდარღვევათა შესახებ მასალების განხილვისას კომისია ყოველთვის ძირფესვიანად არ იკვლევს მათი ჩადენის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს და გამოვლენილ ნაკლოვანებათა შესახებ იშვიათად შეაქვს წინადადებანი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად, აგრეთვე საწარმოების, ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციების, სასწავლებლების კოლექტივებში—რეაგირებისათვის. ცუდად წარ-მოებს გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა სამართალდარღვევებისადმი მიდრეკილ პირებთან.

კომისია სუსტად აკონტროლებს აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მაშინ როდესაც აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებების გამო არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებისა და დანაშაულის მნიშვნელოვანი წილი მოსწავლეებზე მოდის. ბევრი პედაგოგთა კოლექტივი მოსწავლეთა შორის დისციპლინის განსამტკიცებლად კარგად გააზრებული ყოველდღიური მიზანდასახული მუშაობის ნაცვლად მიმართავს მოზარდებზე ზემოქმედების დაუშვებელ ზომებს, სათანადოდ არ რეაგირებს მეცადინეობათა გაცდენაზე, რაც ხელს უწყობს უმეთვალყურეობასა და სამართალდარღვევებს. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა ბროწეულას სკოლა-ინტერნატში, სადაც ბავშვთა მოვლა-პატრონობის პირობებიც კი არადამაკმაყოფილებელია.

ცუდად არის ორგანიზებული მოზარდთა თავისუფალი დრო, არასაკმარისადაა გაშლილი ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა. საწარმოებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაცია სუსტ კონტროლს უწევს არასრულწლოვანთათვის დაწესებული რეჟიმისა და მუშაობის პირობების დაცვას.

კომისია სათანადოდ ვერ აფასებს საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლს, საზოგადოებრივ აღმზრდელებს სამეთვალყურეოდ იშვიათად გადასცემს სამართალდამრღვევ მოზარდებს, არ იღებს ზომებს დამრიგებლობის განსავითარებლად.

კომისიასა და ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციას შორის არ არსებობს ქმედითი კონტაქტი მუშაობაში.

არასაკმარისად წარმოებს საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა, დაბალია სკოლებში მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის დონე.

კომისია საკმაო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ მშობლებისადმი, რომლებიც არ უზრუნველყოფენ შვილების სათანადო აღზრდასა და მათზე მეთვალყურეობას.

არ წარმოებს საჭირო ორგანიზატორული მუშაობა კომისიის დადგენილებათა განსახორციელებლად, არ არის უზრუნველყოფილი მათი შესრულებისადმი სათანადო კონტროლი.

წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, არასაკმარისად წარმართავს და აკონტროლებს მის მუშაობას; ანგარიშებს კომისიის მუშაობის შესახებ არ ისმენენ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებსა და საბჭოს სესიებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

* *

*

მოისმინა რა ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1982 წლის პირველ კვარტალში შემოსული წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ იგი სათანადო რეაგირებისათვის დაეგზავნოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს.

მიღებულ იქნა ცნობად საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ფ. კახიძის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. ს. ჯინჯიხაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ მოქ. მ. მახათაძის და საბურთალოს ქ. №№ 42 და 44 საუწყებო სახლებში მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაში დაყენებული საკითხები უმოკლეს დროში მოგვარდება.

თბილისის, გურჯაანის, მარნეულის, ქობულეთის და ამბროლაურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დაევალათ უფრო ღრმად ჩასწვდნენ მშრომელთა წერილებსა და ზეპირ მიმართვებში დაყენებულ საკითხებს და უზრუნველყონ მათი დროული და სწორი გადაწყვეტა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა სხვა საკითხებიც.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის სხდომა. მოსმენილ იქნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის ამხ. გ. ჩხეიძის მოხსენება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მიერ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1981 წლის გეგმის შესრულებისა და სანაოსნოს 1982 წლის ამოცანების შესახებ. აღინიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა საგეგმო დავალებები და ნაკისრი სოციაციალისტური ვალდებულებები. ამასთანავე კომისიამ აღნიშნა, რომ სანაოსნოს მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს და რჩევა მისცა მას მიიღოს ზომები მუშაობაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

* * *

ამავე სხდომაზე განიხილეს კომისიის წევრის დეპუტატ ვ. ემნაძის წერილი თბილისის საქალაქო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ქსელის მუშაობაში და რესპუბლიკის მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების მიერ სატვირთო ტრანსპორტის გამოყენებაში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებს, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებას რეკომენდაცია მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი დეპუტატ ვ. ემნაძის წერილში დაყენებულ საკითხთა მოსაგვარებლად.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის სხდომა მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების შემდგომ განვითარებასა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს. აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა უწყებათა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებისა და მისი მიღწევების წარმოებაში დასანერგავად. უკანასკნელ წლებში გამოყვანილია ხორბლისა და სიმინდის ახალი ჯიშები, დამუშავდა მთის სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებები, წარმოებას გადაეცა საკონსერვო პროდუქციის ახალი სახეობები. განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოში მაღალპროდუქტიული სამთო მეცხოველეობის შესაქმნელად; შემუშავდა სამეცნიერო რეკომენდაციები ცხოველთა დაავადებების თავიდან ასაცილებლად; დიდი მუშაობა ჩატარდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციფიკის შესაბამისად არსებული მანქანა-იარაღების მოდერნიზაციისათვის; შემუშავდა ნიადაგის დამუშავების და ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტიანი ტექნოლოგია, ღონისძიებანი მდელოების და საძოვრების პროდუქტიულობის გასადიდებლად, ზომები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად; წარმოებს მუშაობა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების ღონისძიებების შესამუშავებლად; შექმნილია მეჩაიეთა, მევენახეთა და მეთამბაქოეთა სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის საცდელი ნიმუშები. დიდი მუშაობა მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების მეცნიერული საფუძვლების შემუშავებისათვის, რაც მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შექმნილი საუწყებათაშორისო საბჭოს ხაზით ხორციელდება; დაზუსტდა და გამოიყო სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ახალი ზონები და ქვეზონები; მომზადდა და მიმდინარე წელს ქართულ და რუსულ ენებზე მასობრივი ტირაჟით მეოთხედ გამოვა რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების შესახებ და სხვ.

კომისიამ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო დარგის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

* * *

ქ. რუსთავში საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ინვენტარის შემკეთებელ საწარმოთა ქსელის განვითარების მდგომარეობის შესახებ იყო მსჯელობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის სხდომაზე.